

## ხშირად დასმული კითხვები

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებასთან დაკავშირებით

**როდის შეიძლება განცხადების წარდგენა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად?**

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განაცხადებები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში ელექტრონულ პორტალზე: <http://socreg.mes.gov.ge> 2023 წლის 11 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით

პორტალზე განაცხადს ვერ წარადგენს სტუდენტი, თუ არ მიეკუთვნება დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიებს ან არ არის იმ წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული, რომელიც მითითებული აქვს ყველა კატეგორიას

**სოციალური პროგრამის ფარგლებში, ვის შეუძლია განაცხადის შევსება?**

განაცხადს ავსებენ შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები; 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები. (2023 და 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები)

2. საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები; საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები ან მათი შვილები. (2023 და 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები)

3. სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები (2023 და 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები)

4. მაგისტრანტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; (2023 და 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები)

5. მაგისტრანტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე. (2023 და 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები)

### **როგორ უნდა წარადგინოს სტუდენტმა განაცხადი?**

სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია პორტალზე <http://socreg.mes.gov.ge> და შემდეგ გადადის განცხადების შევსებაზე. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სტუდენტი მიიღებს მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „თქვენ წარმატების გაიარეთ რეგისტრაცია გთხოვთ გადახვიდეთ განცხადების შევსებაზე“

- რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განაცხადის წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელია გადახვიდეთ განაცხადის შევსებაზე.

### **როგორ შევავსო განცხადება?**

- დეტალური ინფორმაცია მითითებულია ინსტრუქციაში, რომელიც განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე, ქვედა მარცხენა კუთხეში პირველი ბანერი - სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში.

### **როდის არის განცხადების შემოტანის ბოლო ვადა?**

- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 25 ოქტომბრი ამის შემდეგ ბაზა დაიხურება და სტუდენტი ვეღარ შეძლებს განცხადების ატვირთვას.
- სტუდენტს 25 ოქტომბრის ჩათვლით შეუძლია განცხადების შესწორება ან კატეგორიის დამატება, ღილაკზე „შესწორება“ დაჭერით.

### **რა დოკუმენტები უნდა ატვირთოს სტუდენტმა?**

- როდესაც სტუდენტი წარადგენს განაცხადს და მონიშნავს კატეგორიას, იქვე ჩნდება დოკუმენტების ჩამონათვალი. სავალდებულოა, სტუდენტმა უნდა ატვირთოს ჩამოთვლილთაგან ის დოკუმენტი/დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებს მის კუთვნილებას კატეგორიისადმი.

**გარდა პორტალზე ელექტრონულად განაცხადის წარდგენისა, თუ შეუძლია სტუდენტს მატერიალურადაც შემოიტანოს სამინისტროში განცხადება?**

- სტუდენტმა განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონულად.

**როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ ვერ ახერხებს განცხადების შევსებას, ვერ ტვირთვს დოკუმენტს ან ავტომატურად ვარდება სისტემიდან?**

- ამ შემთხვევაში გამოდით პორტალიდან და სცადეთ თავიდან რამდენიმე წუთში. თუ მსგავსი შემთხვევა განმეორდება დაუკავშირდით სამინისტროს ცხელ ხაზს: 2 200 220

**როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ არ მიუღია მესიჯი არც მობილურზე და არც მეილზე, რომ განცხადება წარდგენილია?**

- გადაამოწმეთ მითითებული მობილურის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, თუ დარწმუნდით რომ სწორად გაქვთ მითითებული, მაგრამ თუ პრობლემა არ გამოსწორებულა დაუკავშირდით სამინისტროს ცხელ ხაზს: 2 200 220

**სტუდენტმა შეავსო განაცხადი, მიიღო მესიჯი რომ „განცხადება წარდგენილია“, მაგრამ უნდა გადაამოწმება ნამდვილად წარდგენილია განცხადება თუ არა, როგორ მოვიქცეთ?**

- სტუდენტი თავის პერსონალურ გვერდზე შესვლისას, დაინახავს მწვანე წარწერას - "განცხადება გაგზავნილია".

**როგორ იქცევა სტუდენტი, თუ არ არის დარწმუნებული, რომ სწორად ატვირთა დოკუმენტები?**

- საჭირო დოკუმენტების არასწორად ატვირთვის შესახებ, სტუდენტი მიიღებს მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, რომ დახარვეზებულია განცხადება და დეტალური ინფორმაცია იხილოს თავის პერსონალურ გვერდზე, სადაც დეტალურად იქნება მითითებული ხარვეზის გამოსწორების ვადა, ასევე რა დოკუმენტი უნდა შეცვალოს ან ატვირთოს თავიდან.

**როდის არის ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადა?**

- ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადაა 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით.

**როგორ გაიგებს სტუდენტი დაფინანსდა თუ არა?**

- რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, სტუდენტი მიიღებს შემდეგი შინაარსის მესიჯს:

- თქვენ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში;
- ვერ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში.

**როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ ადარ სარგებლობს რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომრით?**

- რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს წერილობით ან დაუკავშირდეს სამინისტროს ცხელ ხაზს: 2 200 220.

**რა ვადაში უნდა იყოს სტუდენტი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული?**

- სტუდენტს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2023 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით უნდა ჰქონდეს სარეიტინგო ქულა 70000 ან ნაკლები

**კონკურსის შემთხვევაში რომელი ქულით ხდება სოციალური გრანტის მიღება?**

- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე, მაგისტრანტობის კანდიდატთა სიაში უმაღლესი ქულის მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებზე.

**მნიშვნელობა აქვს თუ არა რომელ პროგრამაზეა ჩარიცხული სტუდენტი და რომელ უნივერსიტეტში?**

- დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლობს აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

**კონკურსში მონაწილეობისთვის რა გამოცდა უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სტუდენტს?**

- აუცილებელია სტუდენტს ჩაბარებული ჰქონდეს საერთო სამაგისტრო გამოცდა.

**სახელოვნებო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს ჩაბარებულ გამოცდათ თუ ეთვლებათ შემოქმედებითი ტურები?**

- კონკურსში მონაწილეობისთვის, სახელოვნებო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს, გარდა შემოქმედებითი ტურებისა, სავალდებულოა ჩაბარებული ჰქონდეთ საერთო სამაგისტრო გამოცდა.

### **როდის გამოქვეყნდება დაფინანსებულ სტუდენტთა სია?**

- სტუდენტთა დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ცნობილი იქნება დეკემბრის დასაწყისში.

### **რამდენი წლით ფინანსდებიან სტუდენტები?**

- სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გულისხმობს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით სტუდენტის დაფინანსებას მაგისტრატურაში 2 წელი.

### **სოციალური პროგრამის ფარგლებში რა თანხა ერიცხება სტუდენტს?**

- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 2250 ლარი სასწავლო წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სწავლის საფასური აღემატება 2250 ლარს, სტუდენტი განსხვავებას ფარავს თავად. თუ სწავლის საფასური ნაკლებია 2250 ლარზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი უტოლდება სტუდენტის სწავლის საფასურს.

### **სტუდენტებმა, რომლებმაც გასულ წლებში საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი და სრულად გამოიყენეს, თუ შეუძლიათ განმეორებით, სოციალური პროგრამის ფარგლებში გრანტის მოპოვება?**

- სწავლების თითოეულ საფეხურზე სტუდენტზე გაიცემა მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. თუ სტუდენტს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე უკვე ჰქონდა მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი, სოციალური პროგრამის ფარგლებში გრანტს ვერ მოიპოვებს.